საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №170/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის №170 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლის -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 18 თებერვლის №170/19 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ კანონის დარღვევით მიიღო საქმეზე 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, რადგან იგი არ იქნა მიწვეული სხდომაზე, კანონმდებლობის დაცვით.

1.2. ამასთანავე, აღნიშნავს, რომ მოსამართლეს ამ დრომდე არ განუხილავს მის მიერ 2019 წლის 13 მაისს წარდგენილი განცხადება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 6 ივნისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე. სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად.

აღნიშნული სამოქალაქო საქმე მოსამართლე -- -- გადაეცა 2017 წლის 16 ივნისს.

მოპასუხე -- -- შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 26 ივნისს. მოპასუხე -- -- სარჩელის შესახებ 2017 წლის 13 დეკემბერს ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

მოსამართლემ საქმის განხილვა ჩანიშნა 2018 წლის 9 მარტს. სხდომის შესახებ მოსარჩელესა და მოპასუხე -- -- ეცნობათ სატელეფონო საშუალებით, ხოლო -- -- ეცნობა საჯარო შეტყობინების გზით.

სასამართლო სხდომის მიმდინარეობა გაგრძელდა 2018 წლის 20 მარტს. აღნიშნული სხდომის შესახებ ეცნობათ მოსარჩელის წარმომადგენელსა და მოპასუხე -- -- სასამართლო უწყებაზე ხელმოწერით.

საქმეზე გადაწყვეტილების გამოცხადება გადაიდო 2018 წლის 23 მარტს. 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება -- -- ჩაბარდა 2018 წლის 8 მაისს, ხოლო მოპასუხე -- -- საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარდა 2018 წლის 22 ივნისს. 2018 წლის 20 ივლისს გაიცა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი.

2.2. მოპასუხე -- -- 2019 წლის 1 თებერვალს გაეცნო მის წინააღმდეგ წარმოებულ საქმის მასალებს, ხოლო დამატებით საქმის მასალებს დამატებით გაეცნო 2019 წლის 17 აპრილს. 2019 წლის 14 მაისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს, 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის განახლების შესახებ. 2019 წლის 25 მაისის განჩინებით -- -- განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

განცხადების განხილვის მიზნით სხდომა დაინიშნა 2019 წლის 17 დეკემბერს, რომელიც მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო არ ჩატარდა და გადაიდო სხვა დროისათვის. განცხადების განხილვის მიზნით სხდომა დაინიშნა 2020 წლის 5 თებერვალს. განცხადების განხილვა გაგრძელდა 2020 წლის 14 თებერვალს.

2020 წლის 14 თებერვალს მოსამართლემ დაასრულა განცხადების განხილვა, -- -- განცხადება -- -- სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი -- -- სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეორე და მეხუთე პუნქტები სამოქალაქო საქმეზე -- -- და ამ ნაწილში განახლდა საქმის წარმოება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 18 თებერვლის დასკვნა:

-- -- მიერ 2019 წლის 4 ოქტომბრის №170 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა.“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებში განსაზღვრულია, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი ბრალის ფორმების, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ქვეშ. ამდენად, აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას[1].

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია[2].

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, 150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

[1] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2
[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული საქმის სირთულე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები, ჩატარებული სხდომები და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებები.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამოქალაქო სამართლის დავასთან, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ, ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე“. ამავე კოდექსის 430-ე მუხლის თანახმად, „საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.“

გამომდინარე იქიდან, რომ საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვისათვის კანონი არ განსაზღვრავს ზუსტ ვადას, ამდენად უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის მე-31 პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

-- -- სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის განახლების შესახებ განცხადებით მიმართა 2019 წლის 14 მაისს, რომელიც 2019 წლის 25 მაისის განჩინებით მიჩნეულ იქნა დასაშვებად. განცხადების განხილვა მოსამართლემ დაასრულა 2020 წლის 14 თებერვალს. -- -- განცხადება -- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა.

წარდგენილ განცხადებაზე მოსამართლემ საერთო ჯამში იმსჯელა 7 თვისა და 20 დღის ვადაში.

აქვე მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნა მოსამართლის საავადმყოფო ფურცელსა და შვებულებაში ყოფნის პერიოდი, კერძოდ: მოსამართლე -- -- 2019 წლის შვებულებაში ყოფნის პერიოდი შეადგენს: 04.01.- 11.01. (7 დღე); 29.01.- 01.02. (3 დღე); 22.04.-.25.04. (3 დღე); 12.08. – 23.08. (11 დღე). 2020 წლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდი - 08.01.- 03.02. (26 დღე). საერთო ჯამში მოსამართლის შვებულებასა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდი შეადგენს 1 თვეს და 20 დღეს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით უნდა შეფასდეს ასევე მოსამართლის დატვირთულობა, მასზე განსახილველად გადაცემული და მის მიერ დასრულებული საქმეების რაოდენობა. -- საქალაქო სასამართლოს მოსამართლე -- -- 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა - 754 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა - 567 სამოქალაქო საქმე (75%).

მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლის, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის შვებულებასა და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის პერიოდის, ასევე კანონით განსაზღვრული ვადის გადაცილების მცირემნიშვნელობის გათვალისწინებით, მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ნიშნებს.

3.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ იგი არ იყო სასამართლო სხდომაზე მიწვეული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვით, რის შედეგადაც დაირღვა მისი ფუნამდენტური უფლება, მონაწილეობა მიეღო მის მიმართ არსებულ დავაში.

სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს[3]. ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე[4].

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ „სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.“[5]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტი, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია, თავისი ბუნებით არ თავსდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვლისწინებულ შემთხვევებში, ვინაიდან იგი არ შეიცავს კანონით განსაზღვრული არც ერთი გადაცდომის შემადგენლობას (ქმედება და ბრალი). ამდენად, მასზე, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახეზე მსჯელობა, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

[3] იხილეთ, რუიზმატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz-Mateos v. Spain), 23/06/1993, § 63, Series A no. 262

[4] იხილეთ „ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ“ (Lobo Machado v. Portugal), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I

[5] პარაგრაფი 33

ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დისციპლინური საჩივრის წარდგენით ვერ მიიღწევა ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურს საჩივრის ავტორს, ვინაიდან პროცედურული ხარვეზის გამოსწორება, ზემდგომი ინსტანციის პრეროგატივაა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან - 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №170/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი